ამონაწერი
პროფესიული განათლების მასწავლებლის და
საწვრთნელი კურსების ინსტრუქტორების
თანმდებობრივი ინსტრუქციიდან

Job description for the Vocational Education Teachers and Instructors

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“
შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო
საინჟინრო სასწავლებელი ანრის
დირექტორი
_____ ა.დიასამიძე

საფუძველი:
2025 წლის 08 სექტემბრის სენატის
დადგენილება, ოქმი N10

ინსტრუქტორის თანამდებობრივი ინსტრუქცია

ძირითადი დებულება

ინსტრუქტორის თანამდებობრივი ინსტრუქცია ვრცელდება ბუსსს ანრის მოსამზადებელ და საწვრთნელ პროცესში ჩაბმულ ინსტრუქტორზე, დამკვირვებელზე, შემფასებელზე რომელიც საწვრთნელი კურსის თეორიული ნაწილის გარდა აწარმოებს პრაქტიკულ წვრთნას შესაბამის სიმულატორებზე / ტრენაჟორებზე; აგრეთვე უწევს დახმარებას პროფესიულ მასწავლებელს შესაბამისი საწვრთნელი კურსის პრაქტიკული ნაწილის ჩატარებაში.

ინსტრუქტორად აყვანის მსურველი პირი მიმართავს განცხადებით სასწავლებლის დირექტორს, განხილულ იქნას მისი კანდიდატურა ინსტრუქტორად აყვანის მიზნით;

ინსტრუქტორის კანდიდატურებს არჩევს ადამიანური რესურსების მენეჯერი მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსთან შეთანხმებით და წარუდგენენ დირექტორს.

ინსტრუქტორს ნიშნავს ბუსსს ანრის დირექტორი, პირადი განცხადების საფუძველზე;

ბუსსს ანრი უფლებამოსილია ინსტრუქტორის თანამდებობის დაკავების გარეშე, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო პროცესში მონაწილეობის და ამ პროცესის წარმართვის მიზნით;

ინსტრუქტორის უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და „საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების აღიარებისა და საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგის წესის“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 25 დეკემბრის №05 ბრძანებით დადგენილი წესით.

შერჩეული ინსტრუქტორებისა და შემფასებლების რეესტრის წარმოებას უზრუნველყოფს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო.

ინსტრუქტორის საჭირო კომპეტენციები და უნარები:

ინსტრუქტორები, ზედამხედველები და შემფასებლები, უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით დადგენილი კრიტერიუმებს, მათ შორის შემდეგ მოთხოვნებს:

1) გააჩნდეთ შესაბამის საწვრთნელ კურსთან დაკავშირებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება;
2) გააჩნდეთ 3 (სამი) წლიანი-სწავლების გამოცდილება ბოლო 10 (ათი) წლის განმავლობაში ან გავლილი ჰქონდეთ ინსტრუქტორის, ზედამხედველისა და შემფასებლის მომზადების კურსი;

3) გავლილი ჰქონდეთ სიმულატორზე დაფუძნებული საწვრთნელი კურსის მომზადება და გააჩნდეთ კონკრეტული სიმულატორის პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება, იმ შემთხვევაში, თუ საწვრთნელი კურსი დაფუძნებულია სიმულატორზე.
4) შემფასებელს, კანონმდებლობით და წინამდებარე წესით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად, უნდა ჰქონდეს გავლილი მეზღვაურთა შეფასების მეთოდიკასთან დაკავშირებული წვრთნა; სიმულატორების საშუალებით შეფასებისას, გააჩნდეს შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება.

დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები აღიარებული საწვრთნელი კურსების (პროგრამების) ინსტრუქტორებისა და შემფასებლების მიმართ დადგენილია „საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების აღიარებისა და საზღვაო-სასწავლო დაწესებულბებისა და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგის წესის“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 25 დეკემბრის N05 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 12ოქტომბრის N 14 ბრძანების N1 დანართით.

ინსტრუქტორი ვალდებულია:

1) ჩაატაროს თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები, საწვრთნელი კურსების პროგრამების შესაბამისად;
2) დაიცვას შპს ბუსსს ანრის შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი, დისციპლინარული ნორმები;
3) პირნათლად შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
4) მიიღოს მონაწილეობა იმ ღონისძიებებში, რომლებიც ხელს შეუწყობს მსმენელთა მომზადების, წვრთნის დონის ამაღლებას;
5) გააჩნდეს თავისი საწვრთნელი კურსის პროგრამის მეთოდური მითითებები, თვალსაჩინოებები;

ინსტრუქტორი პასუხიმგებელია:

1) მასზე დაკისრებული მოვალეობების თავისდროულ და ხარისხიან შესრულებაზე.
2) თავისი ცოდნის დონის მუდმივ გაუმჯობესებაზე.
3) სასწავლო პროცესში თანამედროვე მეთოდების გამოყენებაზე.
4) კონფედენციალურობის დაცვაზე.

ინსტრუქტორი უფლებამოსილია:

1) მიიღოს მის მიერ დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;
2) გარეშე პირის ჩარევის გარეშე განახორციელოს სასწავლო, საწვრთნელი, მოსამზადებელი პროცესი.